ქალისა და მამაკაცის პარტნიორული ურთიერთობები, გენდერი, ოჯახი

ხატია როინიშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე სახელოვნებო თეორიისა და პრაქტიკის კვლევებისა და კულტურის მენეჯერის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

საკონტაქტო ინფორმაცია (khatia.roinishvili@gmil.com 568 10 10 04)

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ლევან ხეთაგური

აკადემიური ხარისხი: სრული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2014

ქალისა და მამაკაცის პარტნიორული ურთიერთობები,

გენდერი და მასთან დაკავშირებული საკითხები, ოჯახი

შესავალი

სამაგისტრო ნაშრომი, რომელიც პიესის მიხედვითაა განხილული ეხება ადამიანებს და მათ უმთავრეს როლს ცხოვრებაში. ეს მხოლოდ მცირე მიმოხილვაა იმ უზარმაზარი თემების შესახებ რაზეც იქნება საუბარი. პიესა ეფუძნება რეალურ ისტორიას და მასში გამოკვეთილია პრობლემები ქალისა და მამაკაცის ურთიერთობის სხვადასხვა ეტაპებზე. ეს ეხება ნაადრევი ქორწინებით არასწორად, გაუაზრებლად შექმნილ ოჯახს, სადაც არეულია ქალისა და მამაკაცის როლები და პასუხისმგებლობა ოჯახის ტვირთზე... და ეხება ადამიანებს, წყვილებს რომლებსაც მეტ ნაკლებად გააზრებული აქვთ ოჯახის შექმნის არსი და მნიშვნელობა, მაგრამ ალბათ ამ არსის ზედმეტად ჩაღრმავებამ, თავისუფლებაზე უარის თქმის შიშმა ან უნდობლობამ და გაუბედაობამ, გადაწყვეტილება ოჯახის შექმნაზე უარყო. ამ ყველაფრის მიზეზი ორივე შეიძლება იყოს, ქალიც და მამაკაციც, მაგრამ ამ შემთხვევაში პირველი უარყოფის ნაბიჯი მოდის კაცის მხრიდან.

ოჯახი მართლაც გულისხმობს თვაისუფლების მოკლებას. დაქორწინება სტატუსის ძირეულ ცვლილებას ნიშნავს. ადამიანი ბევრ შესაძლებლობას კარგავს. ის კარგავს ფინანსურ დამოუკიდებლობას, ცხოვრების ჩვეულ წესს. საჭიროა გულწრფელად ვთქვა , რომ ქორწინება მართლაც დიდი რისკია, არავინ იცის შემდეგ რა იქნება. მეორე ადამიანი, ისევე როგორც შენ, შეიძლება შეიცვალოს, აღმოჩნდეს აბსოლუტურად სხვანაირი თანაცხოვრების დროს. ეს არის გარდაუვალი ტკივილის ატანაზე თანხმობა, ეს თავისუფლების ნებაყოფლობითი დაკარგვაა. თუმაცა მრავალი ადამიანი რისკავს, ისინი მზად არიან მიუძღვნან თავისი სიცოცხლე სხვას, რომ